ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ეკონომიკის, ურბანული განვითარებისა და ქონების მართვის საკითხთა კომისიის სხდომის
ოქმი N27

ქ.ზუგდიდი **21 ნოემბერი 2023 წელი**
13:00 სთ

2023 წლის 21 ნოემბერს გაიმართა ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ეკონომიკის, ურბანული განვითარებისა და ქონების მართვის საკითხთა კომისიის სხდომა. სხდომას თავმჯდომარეობდა კომისიის თავმჯდომარე გიორგი სორდია.

სხდომას ესწრებოდნენ: გიორგი სორდია, გიგა ფარულავა, ირაკლი გოგოხია, თაზო ფაცაცია, კახაბერ ჩანგელია, თამუნა ჯიქია, ოთარ ქადარია, გიორგი კორტავა, სოსო გოგოხია, ლაშა ბეჭვაია, მაია კალანდია, ბეჟან შანავა.

სხდომას არ ესწრებოდნენ: ჯონი ჯიქია, დავით ფიფია, დავით ვეკუა, დარეჯან გაბედავა.

სხდომას ასევე ესწრებოდა: კობა ჯიქია-ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო-საბიუჯეტო და შესყიდვების სამსახურის უფროსი; .....- ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო-საბიუჯეტო და შესყიდვების სამსახურის უფროსის მოადგილე; .....-ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო-საბიუჯეტო და შესყიდვების სამსახურის ბიუჯეტის დაგეგმვის განყოფილების უფროსი; **თემურ ჯიქია**-ზუგდიდის მუნიციალიტეტის მერიის ინფრასტრუქტურული პროექტების მართვის და არქიტექტურის სამსახურის უფროსი; .....-ზუგდიდის მუნიციალიტეტის მერიის ინფრასტრუქტურული პროექტების მართვის და არქიტექტურის სამსახურის უფროსის მოადგილე; .....-ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკური პოლიტიკის და მუნიციპალური სერვისების სამსახურის უფროსის მოადგილე; .....-ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკური პოლიტიკის და მუნიციპალური სერვისების მართვის სამსახურის ტრანსპორტის განყოფილების უფროსი; **ნუგზარ მალაშხია**-ა(ა)იპ „ზუგდიდდასუფთავების ცენტრი“-ს დირექტორი; .....-ა(ა)იპ „ზუგდიდდასუფთავების ცენტრი“-ს მთავარი ბუღალტერი; **დავით შელია**-შპს “ANAKLIA-GANMUKHURI RESORTS”-ის დირექტორი; .....იდის მუნიციპალიტეტის ა(ა)იპ „ზუგდიდის ბოტანიკური ბაღი“-ს დირექტორი; ----------ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ა(ა)იპ „ზუგდიდის ბოტანიკური ბაღი“-ს დირექტორის მოადგილე; .....-ზუგდიდის მუნიციპალიტეტის შპს „ზუგდიდის მუნიციპალური ტრანსპორტი“-ს მთავარი ბუღალტერი; .....-ზუგდიდის მუნიციპალიტეტის შპს „ზუგდიდის მუნიციპალური ტრანსპორტი“-ს უფროსის მოადგილე; .....-ა(ა)იპ ზუგდიდის მუნიციპალიტეტის „კეთილმოწყობის მართვის ცენტრი“-ს დირექტორის მოადგილე; .....-ა(ა)იპ ზუგდიდის მუნიციპალიტეტის „კეთილმოწყობის მართვის ცენტრი“-ს საფინანსო-ეკონომიკური განყოფილების უფროსი; **ეკატერინე კიფაია**-ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია „ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველოს“ თავმჯდომარის მოადგილე; .....-ასოციაცია „დეას“ წარმომადგენელი.

სხდომის მდივანი: ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის საქმისწარმოების განყოფილების მესამე რანგის მეორე კატეგორიის უფროსი სპეციალისტი .....

სხდომის დაწყებამდე კომისიის წევრებმა გაიარეს რეგისტრაცია, რეგისტრაციის გავლის შემდეგ სხდომას ესწრებოდა კომისიის 16 წევრიდან 12 წევრი.
კომისიის თავმჯდომარემ კომისიის წევრებს გააცნო სხდომის

დ ღ ი ს წ ე ს რ ი გ ი :

1. ზუგდიდის მუნიციპალიტეტის 2024 წლის ბიუჯეტის პროექტის განხილვა.

მომხსენებელი: გიორგი სორდია-ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ეკონომიკის, ურბანული განვითარებისა და ქონების მართვის საკითხთა კომისიის თავმჯდომარე

თანამომხსენებელი: კობა ჯიქია-ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო-საბიუჯეტო და შესყიდვების სამსახურის უფროსი

2. სხვადასხვა საკითხები.

კომისიის თავმჯდომარემ მიმართა კომისიის წევრებს კენჭი ეყაროს სხდომის დღის წესრიგს წარმოდგენილი რედაქციით.

კენჭისყრის შედეგად კომისიის წევრებმა დღის წესრიგს მხარი დაუჭირეს ერთხმად.

მოისმინეს: დღის წესრიგით გათვალისწინებულ **პირველ საკითხთან** დაკავშირებით ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ეკონომიკის, ურბანული განვითარებისა და ქონების მართვის საკითხთა კომისიის თავმჯდომარის გიორგი სორდიას ინფორმაცია.

მან აღნიშნა, რომ 2023 წლის 17 ნოემბერს ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკრებულოში შემოსულია ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერის N24-2423321124 მომართვა (რეგისტრაციის N12-25233217-25 17.11.2023წ) რომელიც შეეხება ზუგდიდის მუნიციპალიტეტის 2024 წლის ბიუჯეტის პროექტს.

კომისიის თავმჯდომარემ მიმართა მურთაზ ბოკუჩავას კომისიის წევრებს მიაწოდოს ინფორმაცია მუნიციპალიტეტის 2024 წლის ბიუჯეტი რამდენით არის დადგენილი და რა მიმართულებით.

აზრი გამოთქვეს: ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო-საბიუჯეტო და შესყიდვების სამსახურის უფროსის მოადგილემ **განაცხადა:** „რადგანაც ის შემადგენლობა, ვინც დღეს წარმოდგენილია საკრებულოს წევრები, ჩვენი კოლეგები გაცნობილი არიან წარმოდგენილ ბიუჯეტის პროექტს, მაგრამ ბიუჯეტის პროექტთან დაკავშირებით რამოდენიმე ძირითად მიმართულებას მოგახსენებთ განსაკუთრებით დღევანდელი კომისიის პროფილის მიხედვით.

ბიუჯეტის პროექტი წარმოდგენილი არის დადგენილი კანონმდებლობის შესაბამისად, ასევე საბიუჯეტო პროცესს ძირითადად არეგულირებს საქართველოს კანონმდებლობიდან გამომდინარე 2 (ორი) ძირითადი კოდექსი. ეს არის „საქართველოს ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ და „საბიუჯეტო კოდექსი“. აღნიშნული კანონების შესაბამისად, შედგენილია და წარმოდგენილია ბიუჯეტის პროექტი, რომლის თანახმადაც განსაზღვრულია ძირითადი ფინანსური პარამეტრები. ეს ფინანსური პარამეტრები დაჯგუფებულია, როგორც წესი 2 (ორი) მთავარი მიმართულებით, პირველი ეს გახლავთ ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილი, ხოლო მეორე ეს გახლავთ ბიუჯეტის გადასახდელები.

მოგეხსენებათ რომ, არსებობს დადგენილი წესი, მეთოდოლოგია, რომლის მიხედვითაც განისაზღვრება ორგანიზაციული ბიუჯეტის დაჯგუფება კონკრეტული კოდების, ქვეკოდების მიხედვით, რომელშიც ექცევა შესაბამისად ჩვენს სინამდვილეში 6 (ექვსი) ძირითადი მიმართულება. ამ შემთხვევაში არ ვგულისხმობ ამ ძირითადი კოდების შემადგენელ ქვეკოდებს, იმიტომ რომ, ეს თავისთავად ცნობილია ჩვენთვის. მთავარი მიმართულება ეს გახლავთ მმართველობა მუნიციპალიტეტისა, შემდეგ მოდის ყველაზე

დიდი დარგი ინფრასტრუქტურის მშენებლობა, რეაბილიტაცია, ექსპლუატაცია. გარდა ამისა, არის მნიშვნელოვანი დარგი, რომელიც ეხება გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვას. ამის შემდეგ არის განათლება, კულტურა, სპორტი, ახალგაზრდული საქმეები. შემდეგ მუნიციპალიტეტის ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი სფერო, რომელიც უკავშირდება ჯანდაცვას, სოციალურ დაცვას, სამედიცინო დახმარებას და მეექვსე კოდი ეს გახლავთ ჯანდაცვა და სოციალური უზრუნველყოფა. ამჯერად დღევანდელი კომისიისთვის ალბათ საინტერესო თავისი პროფილის მიხედვით გახლავთ ის სფეროები, რომელიც კომისიის განკარგვის ქვეშ არის მოქცეული და ეს გახლავთ ჩვენი, მერიის გადასახედიდან შემდეგი დარგობრივი სამსახურები და დარგობრივი იურიდიული პირები. წარმოდგენილია სამსახურები ეკონომიკური პოლიტიკის, დარგობრივი ეკონომიკის, ურბანიზაციის, რომელშიც გაერთიანებული არის ქონების დაცვა, ინფრასტრუქტურა, ტრანსპორტი, საფინანსო თავად ვართ წარმოდგენილი, მუნიციპალური პროექტების მართვის სამსახური და დარგობრივი მხარჯავი სუბიექტები ა(აიპ)-ების სახით წარმოდგენილი არიან ააიპ „ზუგდიდდასუფთავების“ ცენტრი, „ზუგდიდის ბოტანიკური ბაღების გაერთიანება“, ზუგდიდის „კეთილმოწყობის ცენტრის“ ა(ა)იპ, შპს „ზუგდიდის მუნიციპალური ტრანსპორტი“ და შპს “ANAKLIA-GANMUKHURI RESORTS”.

აზრი გამოთქვეს: მაია კალანდიამ აღნიშნა: „უკაცრავად, ვიცე-მერებმა არ გვიკადრეს? არ არისო საბიუჯეტო პროექტის განხილვაში მონაწილეობა საჭირო?“

აზრი გამოთქვეს: ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო-საბიუჯეტო და შესყიდვების სამსახურის უფროსის მოადგილემ **განაცხადა:** „ვიცე-მერი ბრძანდებოდა ფრაქციული განხილვაზე დღეს. გამომდინარე იქიდან, რომ ფრაქციულ განხილვას ესწრებოდა ბატონი საკრებულოს თავმჯდომარე და როგორც მე ვიცი გარკვეული აუცილებლობიდან გამომდინარე საჭირო იქნა მისი დროებით გადასვლა მერიაში.

პირველი რითაც მინდა დავიწყო გახლავთ, თუ რა პარამეტრებისგან შედგება 2024 წლის ბიუჯეტი. მოგახსენებთ, რომ მთლიანად ბიუჯეტის მოცულობა მომავალი წლისა განსაზღვრული არის დამრგვალებული ციფრით 64 (სამოცდაოთხიმილიონილარი) მილიონი ლარით. ბუნებრივია, 64(სამოცდაოთხიმილიონილარი) მილიონი ლარი რადგან გახლავთ საშემოსვლო ნაწილი, ამდენივე არის მისი გადასახდელებიც ბალანსი რომ გამოვიდეს. თუ რაიმე არ იქნა განსაკუთრებული კორექტივები გასატარებელი ამ პროექტში ჯერჯერობით 64 000 000(სამოცდაოთხიმილიონილარი) ლარი განსაზღვრავს ბიუჯეტის როგორც შემოსავლებს, ასევე მის გადასახდელებს.

შედარება მიმდინარე წლის ბიუჯეტის პროექტისა წინა წლის შესაბამისი პერიოდის საწყის მაჩვენებელთან. მოგახსენებთ მ/წლის ბიუჯეტის მოცულობა წინა წლის ბიუჯეტის საშემოსავლოს ნაწილთან შედარებით გაზრდილი არის 6 117 000(ექვსიმილიონასჩვიდმეტიათასილარი) ლარით, რაც პროცენტული მაჩვენებლის მიხედვით გახლავთ 10.4%. ასე რომ პროექტის მიხედვით შეიძლება ითქვას რომ, გასაზღვრული პარამეტრები მთლიანობაში არ გამოიყურება ურიგოდ, იმიტომ რომ 10%-იანი ზრდა ამ პირობებში, როდესაც წინა წლებიდან გამომდინარე მუდმივი ზრდაა დინამიკაში, ამ ეტაპზე მეტი ზრდის საშუალებას არ იძლევა, იმიტომ რომ მოგეხსენებათ ყოველწლიურად როგორც ეკონომიკა იზრდება, შესაბამისად ბიუჯეტის ზრდასაც აქვს ადგილი. ნიშანდობლივია, რომ საწყისი ეტაპის საგადასახადო შემოსავლების მაჩვენებლი წინა წლის საწყის მაჩვენებელთან გაზრდილი არის 8 700 000(რვამილიონშვიდასიათასილარი) ლარზე მეტით, ანუ ეს იმას ნიშნავს ბიუჯეტის ფორმირების უმთავრესი წყარო ეს არის საგადასახადო შემოსავლები და რომელიც თავის მხრივ იყოფა ორ ძირითად სახედ დამატებითი ღირებულების გადასახადი სახით და ქონების გადასახადის სახით, სოლიდურად არის გაზრდილი. მოგეხსენებთ, რომ ამ საგადასახადო მაჩვენებლების მიხედვით ბიუჯეტის პარამეტრების განსაზღვრა დადგენილი კანონმდებლობის შესაბამისად არ არის დამოკიდებული მხოლოდამხოლოდ მუნიციპალიტეტზე იმიტომ, რომ საბიუჯეტო

კოდექსის შესაბამისი 77-ე მუხლი, რომელიც განსაზღვრავს საგადასახადო შემოსავლების პარამეტრებს, მის მოცულობას განსაზღვრას საქართველოს მთავრობა და მთავრობის სახელით საქართველოს ფინანსთა სამინისტრო. აი ეს ციფრები, რომელიც მე დაგისახელეთ და არის ზრდა საგადასახადო შემოსავლებში 8 000 000(რვამილიონილარი) ლარის ოდენობით. ეს ვალდებულება თავისთავზე აღებული აქვს მთავრობას და ფინანსთა სამინისტროს. ოფიციალური შეთანხმება დოკუმენტის სახით გადმოცემული არის მუნიციპალიტეტზე და ამ ციფრებზე, რომელიც მთლიანი შემოსავლების მოცულობაში 85%-ზე მეტია, პასუხისმგებლობა აღებული აქვს ფინანსთა სამინისტროს, რომ 85%-ზე მეტი პროცენტული მაჩვენებელის მიხედვით შემოსავლების ეს წყარო მან უნდა გაანაღდოს. გავლილი წლების მიხედვით პრაქტიკა გვიჩვენებს, რომ არ ყოფილა არც ერთი წელიწადი, რომ საკონტროლო ციფრები, რომელიც დაშვებულია მუნიციპალიტეტზე, კერძოდ ჩვენს სინამდვილეში და ზოგადად საქართველოს მუნიციპალიტეტებზე, რომ ეს დაშვებული საკონტროლო ციფრები არ შესრულებულ იყო. დანარჩენი რაც შეეხება შევსებას 100%-მდე დაახლოებით 15%- ზე ცოტა ნაკლები, ეს დამოკიდებული არის ადგილობრივი ხელისუფლების ორგანოებზე. პირველ რიგში რა თქმა უნდა ამ თანხების მობილიზაციაზე პასუხიმგებელი არის აღმასრულებელი ორგანო და მის შესრულებაზე კონტროლს, მონიტორინგს ახორციელებს წარმომადგენლობითი ორგანო-საკრებულო.

ადგილობრივი შემოსავლები როგორ არის წარმოდგენილი-საგადასახადო შემოსავლების შემდეგ ძირითადი რაც ჯდება საშემოსავლო ნაწილში გახლავთ ე.წ. **სხვა შემოსავლები,** რომელიც რამოდენიმე სახეს აერთიანებს. ჯამში **სხვა შემოსავლები** საკმაოდ იზრდება წინა წლის საწყის პერიოდთან შედარებით და ზრდა შეადგენს 1 114 000(ერთიმილიონ სთოთხმეტიათასი ლარი) ლარს. ძირითადში არის სხვა შემოსავლებიდან, პირველ რიგში აქ ჯდება მიწის რენტა, რომელიც წარმოდგენილია ბუნებრივი რესურსების სახით, აქ ჯდება ჯარიმები, სანქციები, საურავები. ამ სახეებში მთავარი წამყვანი როლი უჭირავს ჯარიმებს, რომელიც შემოდის საგზაო მოძრაობის წესების დარღვევისგან, აგრეთვე სხვა სახის ჯარიმები, რომელიც წინასწარ არ არის კლასიფიცირებული, მაგრამ პრაქტიკის მიხედვით აუცილებლად ხდება წლის განმავლობაში და ეს გახლავთ მაგალითად, სახელშეკრულებო ვალდებულების დარღვევა მომწოდებელი სუბიექტების მიერ, რომლებსაც ეკისრებათ ჯარიმების სახით პირგასამტეხლო. პირგასამტეხლოს სახით არის კონკრეტული სახის ან საურავი, ან ჯარიმა, ან სხვა სახის სანქცია, რომელიც ასევე ადგილობრივ ბიუჯეტში ირიცხება და ხდება მათი მობილიზება. გამომდინარე აქედან, შემოსავლების ეს სახე, რომელიც მე დავასახელე, ჯამში **სხვა შემოსავლები** წარმოდგენილი არის 2 883 000 (ორიმილიონრვაასოთხმოცდასამიათასილარი) ლარის ოდენობით. ყველაზე დიდ სახეებზე ვილაპარაკეთ, სამწუხაროდ ხდება ისე რომ ზოგიერთ შემთხვევაში სხვადასხვა მიზეზების გამო გართულებული არის შემოსავლების ამ სახის მობილიზება. მაგალითად, ავიღოთ ბუნებრივი რესურსების მოსაკრებელი. ბუნებრივი რესურსების მოსაკრებლის გადამხდელები არიან ის სუბიექტები, რომლებიც პირდაპირ კავშირში არიან საგადასახადო ორგანოებთან, ამიტომ მათი პროგნოზირება ჩვენ გვიხდება მხოლოდ და მხოლოდ პროგნოზული შეფასებების, ანალიტიკური შეფასებების საფუძველზე. ამის მობილიზაციაზე უშუალოდ მუნიციპალიტეტს ხელი არ მიუწვდება საგადასახადო ორგანოების გარეშე. ამიტომ მიუხედავად სიძნელეებისა, რამდენადაც ბიუჯეტში ჯდება როგორც შემოსავლის წყარო აი ამ სახის შემოსავლები, ვალდებული არის აღმასრულებელი ორგანო, ანუ მერია უზრუნველყოს ამ შემოსავლების მობილიზება შესაბამის უწყებრივ სამინისტროებთან, თუ შესაბამის უწყებებთან კოორდინაციით. კიდევ ერთხელ ვიტყვი, რომ საკმაოდ გართულებულია ეს პროცესი, მაგრამ პასუხიმგებლობა საბოლოო ჯამში ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილის შესრულება ეკისრება აღმასრულებელ ორგანოს, ანუ მერიას.

მოგეხსენებათ, რომ ბიუჯეტის შემოსულობების ნაწილში ჯდება მიზნობრივი დანიშნულების კონკრეტული გრანტი. ეს იმიტომ ხდება, რომ ცენტრალური ხელისუფლების

მიერ ადგილობრივი ხელისუფლების ორგანოებზე ხდება ცენტრალური ორგანოების უფლებამოსილებების დელეგირება. მაგალითად, ჩვენს სინამდვილეში ეს არის საზოგადოებრივი ჯანდაცვის სახით ვეტერანთა მიმართებაში არის კონკრეტული პროგრამა, იძულებით გადაადგილებულ დევნილებთან მიმართებაში არის კონკრეტული პროგრამა და კიდევ ბავშვთა დაცვის კუთხით არის კონკრეტული პროგრამა. მომავალ წელს ხდება ცვლილება, თორემ ამ მიზნობრივი ტრანფერების ათვისებაში ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ადგილი ეკავა ე.წ სამხედრო სამსახურს, ანუ გაწვევისა და მობილიზაციის სამსახურს. მაგრამ გაწვევისა და მობილიზაციის შესახებ საქართველოს კანონში მოხდა ცვლილება და ეს მიმართულება მუშაობისა დაიქვემდებარა მთავრობამ და გადავიდა თავდაცვის სამინისტროში, ამიტომ ეს ფუნქცია მთლიანად გამოდის მუნიციპალიტეტის საქმიანობიდან და გამომდინარე აქედან, მიზნობრივი დანიშნულების გრანტის მოცულობა წელს შემცირებულია იმდენივე ოდენობით, რამდენიც ხმარდებოდა თავდაცვის ხელშეწყობის ღონისძიებებს. აი ეს გახლავთ მოკლედ საშემოსავლო ნაწილთან ბიუჯეტის პარამეტრები.

რაც შეეხება გადასახდელებს ამასთან დაკავშირებით კიდევ რამოდენიმე ციფრს მოვიყვან ზოგადად, რომელიც დამახასიათებელი იქნება ბიუჯეტისთვის და შემდგომ იმ კონკრეტული ააიპიებს და შპს-ების მიმართ, რომლებიც აქ არიან წარმოდგენილი. პროექტით გათვალისწინებულია საერთო თანხაში 64 000 000(სამოცდაოთხიმილიონილარი) ლარში, რომელიც შემოსავლით არის განსაზღვრული და დაბალანსებულია გადასახდელებით, ყველაზე დიდი ხვედრითი წილი 23% მოდის ინფრასტრუქტურაზე, მაგრამ აქ იგულისხმება ინფრასტრუქტურაში არა მარტო კაპიტალური ინფრასტრუქტურული პროექტები, არამედ კანონმდებლობის მიხედვით ინფრასტრუქტურას დაქვემდებარებული კერძო სამართლის იურიდიული პირები, ააიპიები და შპსეების სახით. მთლიანობაში 64 000 000(სამოცდაოთხიმილიონილარი) ლარიდან პროცენტულად მოდის ამ სფეროზე 23 %, ხოლო თანხობრივად 14 700 000(თოთხმეტიმილიონშვიდასათასილარი) ლარზე მეტი. ზოგადად ინფრასტრუქტურაში კაპიტალური პროექტების სახით საგზაო ინფრასტრუქტურაზე მოდის 600 000(ექვსასიათასილარი) ლარი და წინა წელთან შედარებით ზრდა არის 100 000(ასიათასილარი) ლარი. შეიძლება ეს ზრდა მოგვეჩვენოს შედარებით პატარა თანხად და თვითონ პარამეტრის ოდენობაც, მაგრამ ცნობილია, რომ ძირითადში კაპიტარული პროექტების განხორციელება ხდება მუნიციპალური განვითარების პროექტების ფონდიდან. სახელმწიფო ბიუჯეტში არის სპეციალური დიდი დანაყოფი, რომელიც იწოდება მუნიციპალური განვითარების ფონდად და ამ ფონდიდან დასაბუთებული მოთხოვნის საფუძველზე, რომელსაც ზურგს უნდა უმაგრებდეს კონკრეტული დასაბუთებული პროექტები, ხარჯთაღრიცხვები და კიდევ სხვა მოთხოვნები, აღმასრულებელ ორგანოს აქვს უფლება, რა თქმა უნდა საკრებულოს თანხმობით წარადგინოს კონკრეტული პროექტები და დასაბუთების შემთხვევაში საკმაოდ სოლიდური თანხები, მილიონობით თანხები მოდის რეგიონალური განვითარების პროექტების ფონდიდან. მიმდინარე წელს ველოდებით დაახლოებით 8, 000 000(რვამილიონილარი) ლარს, მაგრამ ყველა შემთხვევაში მოხდება ამ თანხის ზრდა. უკანასკნელი წლების პრაქტიკა გვიჩვენებს, რომ 10 000 000(ათიმილიონილარი) ლარზე ნაკლები ჯერ არ ყოფილა სახელმწიფო პროექტების განვითარების ფონდიდან გამოყოფილი. უკვე ათი თვის მაჩვენებლით 14 000 000(თოთხმეტიმილიონილარი) ლარს გაცდა. ასე რომ წინასწარ ვითვალისწინებთ დაახლოებით პარამეტრებია ეს 8 000 000(რვამილიონილარი) ლარი უნდა მივიღოთ, მაგრამ ყველა შემთხვევაში წინა წლების პრაქტიკა ადასტურებს არანაკლები იქნება, ოღონდ ეს დამოკიდებულია ჩვენზე, რამდენად მოვახერხებთ და შევძლებთ დასაბუთებულ მოთხოვნას ამ თანხებისას. ეს რაც შეეხება ზოგადად კაპიტარულ ინფრასტრუქტურას და მთლიანობაში ინფრასტრუქტურის დარგს.

შემდეგი მოდის გარემოს დაცვა. გარემოს დაცვის დარგი 2024 წლის პროექტით წარმოდგენილია 8 400 000(რვამილიონიოთხასიათასილარი) ლარით. აქ გათვალისწინებული

არის გარემოს დაცვაში, პირველ რიგში რა თქმა უნდა ისეთი დიდი სუბიექტები, როგორიც არის ბოტანიკური ბაღები, შპს „ANAKLIA GANMOKHURI RESORTI" და ბოლოს ყველაზე მხარჯავი სუბიექტი, რომელიც ამ სფეროს განსაზღვრავს ააიპ „ზუგდიდდასუთავების"-ის ცენტრი. „ზუგდიდდასუფთავების"-ის ცენტრზე 8 400 000(რვამილიონიოთხასიათასილარი) ლარიდან თითქმის 80% პროცენტი მოდის ამ სუბიექტზე და მთლიანობაში თანხობრივად 6 300 000(ექვსიმილიონისამასიათასილარი) ლარის ფარგლებში არის პროექტი წარმოდგენილი. **სოფლის მეურნეობის ხელშეწყობის პროგრამაც** ამ კოდით გადის და 120 000 000(ასოციმილიონილარი) ლარით არის წარმოდგენილი, ხოლო რაც შეეხება „ANAKLIA-GANMOKHURI RESORTI"-ს პირველ ეტაპზე არის 1 050 000(ერთიმილიონიორმოცდაათიათასილარი) ლარი."

აზრი გამოთქვეს: მაია კალანდიამ აღნიშნა: „რამდენი დაუმატეთ „ANAKLIA-GANMOKHURI RESORTI"-ს?"

აზრი გამოთქვეს: ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო-საბიუჯეტო და შესყიდვების სამსახურის უფროსის მოადგილემ **განაცხადა:** „ANAKLIA-GANMOKHURI RESORTI"-ის ზრდა დავასახელე. ჯამში ეს არის 1 050 000(ერთიმილიონიორმოცდაათიათასილარი) ლარი. ეს არის ძირითადში სამი მხარჯავი სუბიექტი. რაც დასახელებულია თანხა შესაძლოა ეს მთლიანობაში არ იყოს საკმარისი, მაგრამ მოგეხსენებათ ყველა შემთხვევაში უნდა გამოვიდეთ პირველ რიგში იმ შესაძლებლობიდან, რასაც იძლევა ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილი. რაც შეეხება ჰუმანიტარულ სფეროებს და დარგებს, რომელიც ეხება კულტურას, განათლებას, რელიგიას, სპორტს, ახალგაზრდულ საქმეებს დარგობრივ კომისიებში იქნება განხილული, ხოლო რაც შეეხება სოციალურს, ჯანდაცვას, სამედიცინო დახმარებას ამ დარგებთან დაკავშირებით არ შეგაწუხებთ."

აზრი გამოთქვეს: კახაბერ ჩანგელიამ აღნიშნა: „პირველ რიგში კითხვა მექნება ააიპების ხელმძღვანელებთან. საკმარისია თუ არა თანხები, რომელიც არის გამოყოფილი და თუ არაა, რამდენი უნდა დაგემატოთ და რატომ? მე როგორც ვიცი კეთილმოწყობის მართვის ცენტრს მეტი თანხა ქონდა მოთხოვნილი."

აზრი გამოთქვეს: ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო-საბიუჯეტო და შესყიდვების სამსახურის უფროსის მოადგილემ **განაცხადა:** „არ ეყოფათ რა თქმა უნდა. ყველა ააპიებს და შპსეებს მეტი თანხა ქონდათ მოთხოვნილი."

აზრი გამოთქვეს: თაზო ფაცაციამ აღნიშნა: „კეთილმოწყობას ისეთი განვითარებები აქვს შიგნით, რომელიც ძალიან მომეწონა და რაც უფრო მეტ თანხებს დაუმატებთ კიდევ უფრო მეტ სიკეთეებს მოუტანენ მუნიციპალიტეტს."

აზრი გამოთქვეს: თამუნა ჯიქიამ აღნიშნა: „თვითონ ააპიების და შპსეების წარმომადგენლებმა მოგვახსენონ რამდენის დამატებას ითხოვენ და რისთვის."

აზრი გამოთქვეს: ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო-საბიუჯეტო და შესყიდვების სამსახურის უფროსის მოადგილემ **განაცხადა:** „მე ციფრებს არ დავასახელებ, მხოლოდ მიდგომების შესახებ მინდა მოგახსენოთ. ეს გავლილი არის ყველა სუბიექტთან და სამსახურებთან. ამიტომ ამოსავალი კრიტერიუმი მაინც არის ბიუჯეტის შემოსავლები. ბიუჯეტის ზრდის პროცენტი ზრდის შესაბამისად ყველა დარგობრივი იურიდიული პირის ასიგნება გაზრდილია, აბსოლიტურად ყველასი. რაც შეეხება ბატონ კახას მიერ დასმულ კითხვას არის თუ არა გამოყოფილი თანხები საკმარისი, ბუნებრივია იმ მოთხოვნებით, რაც საბიუჯეტო განაცხადები იყო შემოსული, რა თქმა უნდა იმას არ შეესაბამება, მაგრამ ბიუჯეტის შემოსულობები მეტის შესაძლებლობას არ იძლევა. თუმცა რაც ეხლა არის განსაზღვრული პარამეტრები პროექტის მიხედვით საშუალო დონეზე საკმარისია იმისთვის, რომ ააპიებმა და შპსეებმა მათზე დაკისრებული ფუნქციონალური მოვალეობები და დასახული მიზნები შეასრულონ. დანარჩენს თვითონ წარმომადგენლები უპასუხებენ."

აზრი გამოთქვეს: გიორგი სორდიამ აღნიშნა: „საგზაო ინფრასტრუქტურასთან დაკავშირებით მექნება კითხვა. ვიცი 100 000(ასიათასილარი) ლარით იზრდება. არის თუ არა საკმარისი ეს

თანხა და რამდენის მოთხოვნა ქონდათ? ქალაქს თავი რომ დავანებოთ, 48 ადმინისტრაციული ერთეულისთვის ეს თანხა ძალიან მცირეა.“

აზრი გამოთქვეს: თემურ ჯიქიამ განაცხადა: „რა თქმა უნდა საჭიროება დიდი დგას, ჩვენ ყველაზე ოპტიმალური მოთხოვნა დავაყენეთ 1 000 000(ერთიმილიონილარი) ლარი. ეს იყო ძალიან მინიმალური მოთხოვნა გადაჭარბების გარეშე.“

აზრი გამოთქვეს: კახაბერ ჩანგელიამ აღნიშნა: „გამოდის თქვენ მოთხოვნილი 1 000 000(ერთიმილიონილარი) ლარიდან გამოგეყოთ 600 000(ექვსასიათასილარი) ლარი და დაგეგმილი პროექტებიდან 400 000(ოთხასიათასილარი) ლარის სამუშაოებს ვერ განახორციელებთ და კონკრეტულად რას?“

აზრი გამოთქვეს: თემურ ჯიქიამ განაცხადა: „ძირითადად აღმართებს, რაც გვქონდა დაგეგმილი პროგრამა, შევისყიდეთ აღმართების პროექტირება. წლის ბოლომდე საბოლოოდ მივიღებთ ყველა პროექტს და ვგეგმავდით დაახლოებით 500 000(ხუთასიათასილარი) ლარის ღირებულების პროექტებს, მათ შორის რეგიონალური განვითარების ფონდიდან ვაპირებთ რაღაც თანხები მივმართოთ ამ კუთხით, ასევე ადგილობრივი ბიუჯეტიდან მინიმუმ 500 000(ხუთასიათასილარი) ლარი გამოგვეყო აღმართების პროგრამისთვის, მაგრამ რა თქმა უნდა ინფრასტრუქტურის ბიუჯეტი არის ძალიან მცირე.“

აზრი გამოთქვეს: მაია კალანდიამ აღნიშნა: „ბატონო მურთაზ მადლობას გიხდით გუშინ, დღეს, ხვალ, ზეგ, მასზეგ, კიდევ შარშან, შარშან წინ გიწევდათ ძალიან დიდი შრომატევადი მოხსენების გაკეთება. მე შეკითხვა მაქვს ყველასთან, იმიტომ რომ ეს ბიუჯეტი შედგა მერიის სამსახურებთან ერთად. საკმაოდ სოლიდურად ვართ წარმოდგენილი ფრაქცია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“ საკრებულოში და მაინტერესებს იცნონებ თუ არა ჩვენს საბიუჯეტო ინიციატივებს შესაბამისი სამსახურები. ეს ინიციატივები არ გაგვიკეთებია გადაჭარბებით, აქედან არც ვითხოვთ შესრულდეს ასევე პროცენტი. მაინტერესებს ჩვენი ინიციატივებიდან რა გაითვალისწინეთ, იმიტომ რომ ჩვენი ინიციატივა ყველა არის ამომრჩევლებთან შეხვედრისას წამოჭრილი პრობლემები, რომელიც სასწრაფო მოგვარებას საჭიროებს. ჩვენ არც ერთი პროექტი არ წარმოგვიდგენია ისეთი, რომელიც ყოფილიყო რამე დიდი თანხებთან დაკავშირებული. სამსახურის უფროსებს მივმართავ, ინფრასტრუქტურის მიმართულებით განსაკუთრებით, იცნობენ თუ არა ამ ინიციატივებს და აგრეთვე კონსტანტინე კაკავასგან მინდოდა მიმეღო პასუხი. მან გვითხრა ერთი თვის წინ, რომ „ANAKLIA-GANMOKHURI RESORTI”-ის, ხიდის და სხვა საჭირო აუცილებელი პრობლემების მოგვარება შესაძლებელი იყო მუნიციპალური განვითარების ფონდიდან. ითქვა რომ თითქოს დასტური იყო და დაიწყებოდა სამუშაოები, რადგან ანაკლია-განმუხურის დამაკავშირებელი ხიდს ცუდი მდგომარეობა არ ეთქმის, მოსათმენიც არ ეთქმის, იმიტომ რომ ხიდი ალბათ მალე მოითხოვს რომ დაიხუროს, იმიტომ რომ იქ გადასვლა უსაფრთხო ვერ იქნება. ვიცი რომ მისი შეკეთება ძვირი ჯდება და ზუგდიდის ბიუჯეტისთვის ეს საკმაოდ დიდი თანხაა, მაგრამ იქ შეიძლება გაკეთდეს ატრაქციები, რადგან ხშირად ხდება ფოტოსესიების დაგეგმვა, რაც შეიძლება ფასიანი გახდეს და შემოსავლის წყარო იყოს. ამიტომ ამაზეც მინდოდა პასუხი მიმეღო. მოკლედ ხვალ ამას ფრაქციის სხდომაზეც განვიხილავთ დაწვრილებით, მაგრამ მაინტერესებს თუ იცნობენ ამ ინიციატივების დოკუმენტს და აქედან რა გაითვალისწინეთ. დაუშვათ ჩვენ გვაქვს ინიციატივა 25 რაიონის ტერიტორიაზე ანუ სოფლებში, ქალაქ ზუგდიდში გვაქვს 12 ინიციატივა და აქედან რამოდენიმე მაინც თუ გაითვალისწინეთ, იმიტომ რომ აქედან არც ერთი არ ყოფილა რამე კაპრიზი, რომ ვითხოვთ რამე სასწაულს.“

აზრი გამოთქვეს: ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო-საბიუჯეტო და შესყიდვების სამსახურის უფროსის მოადგილემ **განაცხადა:** „ქალბატონო მაია, პირდაპირ გეტყვით ყოველგვარი შელამაზებების გარეშე, რომ ამ ეტაპზე მიღებული გვაქვს და გაცნობილნი ვართ თქვენს დოკუმენტს, მაგრამ წარმოდგენილ ბიუჯეტის პროექტში თქვენ რასაც ბრძანებთ გათვალისწინებული არ არის, თუმცა ხელმძღვანელობამ მიიღო გადაწყვეტილება

ბიუჯეტის განხილვების დასრულების შემდგომ იქნეს ეს საკითხები მონიშნული და განხილული. არ შეიძლება ბიუჯეტის გადასინჯვა და კორექტირება არ მოხდეს. ამიტომ შეჯამების მერე როდესაც გამოთქმული იქნება ყველა მიმართულებით წინადადებები, შენიშვნები, რეკომენდაციები, აბსოლიტურად ყველა პროექტი იქნება განხილული, რომ შესაძლებლობის მაქსიმუმი გაკეთდეს. ამიტომ ამ თვალთახედვით ამ ეტაპზე ბიუჯეტის პროექტში თავი შევიკავეთ არა მარტო „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ ინიციატივებზე, არამედ სხვა წარმოდგენილ ინიციატივებზეც. როგორც ზემოთ აღვნიშნე დაველოდებით ბიუჯეტის საბოლოო განხილვებს და ერთობლივად განვიხილავთ შესაძლებლობის გათვალისწინებით.“

აზრი გამოთქვეს: მაია კალანდიამ აღნიშნა: „ჩვენ ორულუს ბაღის მშენებლობა გვიწერია, ვიცით რომ ამ პროექტს ვერ შეიტანდით, რადგან ამას დიდი თანხები სჭირდება, მაგრამ პრიორიტეტში ჩავწერეთ, თუმცა არის ისეთი აუცილებელი საკითხები მაგალითად, გზების მოხრეშვა, რომელსაც ძალიან ცოტა თანხა სჭირდება.“

აზრი გამოთქვეს: თემურ ჯიქიამ განაცხადა: „რა თქმა უნდა გავეცანით თქვენს რეკომენდაციებს, რომელიც ფართო მასშტაბიან პროექტებსაც შეეხება მოგახსენებთ, რომ ეს ბიუჯეტი ამას ვერ მოემსახურებოდა. მაგალითად, მოხრეშვები და მსგავსი საკითხები ჩვენ ბიუჯეტში არ ჩაგვიწერია, ვინაიდან გზების კოდიდან ჩვენ ვგეგმავთ დაახლოებით 300 000(სამასიათასილარი) ლარის წლიური მომსახურეობის კონსოლიდირებული ტენდერი გამოვაცხადოთ ინერტული მასალის შესყიდვა და 300 000(სამასიათასილარი) ლარზე მომსახურეობა შესყიდვა მოხდეს ქალაქის ქუჩების ორმული შეკეთებისთვის. რაც მე თქვენს ჩამონათვალში ვნახე პატარ-პატარა პროექტები, რაც შეიძლება მუნიციპალიტეტის ადგილობრივი ძალებით შესაძლებელი ყოფილიყო ჩავთვალოთ, რომ ამ ორი შესყიდვის ფარგლებში შესაძლებელია მარტივად გათვალისწინება. რაც შეეხება მეორე შეკითხვას რაც ანაკლიის ხიდთან დაკავშირებით გამოთქვით, აბსოლიტურად გეთანხმებით ძალიან მძიმე სიტუაცია არის და არც იმას მოვერიდები გარკვეულ წილად საფრთხის შემცვლელიც არის ეს ხიდი უკვე. მაგრამ ამის გაკეთება ჩვენი ძალებით წარმოუდგენელია. ჩვენ რაც შეგვიძლია ის არის, რომ ყველა შესაბამის უწყებებასთან გაგზავნილი გვაქვს შესაბამისი ინფორმაციებით „ANAKLI-GANMOKHURI RESORTIS” -ის ჩართულობით, პროექტით, შესაბამისი მისი ტექნიკური მახასიათებლით, რა მასალაა საჭირო, როგორ არის საჭირო და მაქსიმალურად ვმუშაობთ. რა ინფორმაციაც თქვენ გაქვთ იგივე ინფორმაცია მაქვს მეც ზეპირსიტყვიერი, რომ მომავალი წლისთვის იგეგმება აღნიშნული ხიდის რეკონსტრუქცია.“

აზრი გამოთქვეს: ლაშა ბეჭვაიამ აღნიშნა: „სოფელ შამგონაში ზვ. გამსახურდიას ქუჩაზე არის კატასტროფული მდგომარეობა. ვიცი ადგილობრივი ბიუჯეტი ამას ვერ გაწვდება, მაქვს ამის გამოცდილება, მაგრამ კარგი იქნება რამენაირად პრიორიტეტებში რომ ჩაისვას, დაახლოებით კილომეტრ ნახევარ მონაკვეთზეა საუბარი.“

აზრი გამოთქვეს: თემურ ჯიქიამ განაცხადა: „ასეთი პროექტები შესაბამის დონორულ თანხებთან არის დაკავშირებული და რეგ-ფონდში უნდა ჩაისვას. მსგავს საკითხებზე, როდესაც რეგ-ფონდის განკარგულებები გამოვა შეგიძლიათ პროექტების ჩართვაზე კონსულტაციები გაიაროთ შესაბამის სამსახურთან, მერთან, მერის მოადგილეებთან და მოხდეს შეთანხმება.“

აზრი გამოთქვეს: კახაბერ ჩანგელიამ აღნიშნა: „ANAKLIA-GANMOHKURI RESORTIS”-ის დიდი გულშემატკივარი ვარ, ძალიან ბევრი პროექტები იყო ადრე, მერე ეს პროექტები ჩაიშალა იმიტომ, რომ დიდ თანხებთან იყო დაკავშირებული. ერთი პერიოდი ცენტრალურ ბიუჯეტზე იყო დამოკიდებული და იქიდან აფინანსებდნენ, მაშინ რაღაცა კეთდებოდა. საერთოდ არ უნდა წამოეღო ზუგდიდის მუნიციპალიტეტს ეს პროექტები, ეკეთებინა ცენტრალურ ბიუჯეტს, უფრო მეტი დაფინანსება ექნებოდა და მეტად განვითარდებოდა. მე ვფიქრობ იგივე სიტუაციაა ბოტანიკურ ბაღთან დაკავშირებით.“

აზრი გამოთქვეს: ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო-საბიუჯეტო და შესყიდვების სამსახურის უფროსის მოადგილემ **განაცხადა:** „ბიუჯეტიდან გამომდინარე, რა თქმა უნდა

ჩვენც შეზღუდულები ვართ. გეთანხმებით, რომ ცენტრალური ბიუჯეტიდან უფრო მეტი დაფინანსება იქნებოდა, მაგრამ ჩვენგანაც არანაკლები სამუშაოები და პროექტები ხორციელდება.“

აზრი გამოთქვეს: გიორგი სორდიამ აღნიშნა: „ტრანსპორტის სამსახურთან მექნება შეკითხვა, ვიცი რომ 650 000(ექვსასორმოცდაათიათასილარი) ლარით იზრდება თქვენი ბიუჯეტი. მაინტერესებს გასულ წელს შემოსავლები რამდენი ქონდათ და წელს რამდენს გეგმავთ.“

აზრი გამოთქვეს: მაია კალანდიამ აღნიშნა: „უკაცრავად ჩაგეჭრებით, რაც ჩვენს ქალაქში პარკირების კუთხით ხდება უბრალოდ არაფერში არ ჯდება. ჩემს თავლწინ უცხოელებს გამოეკიდა კაცი, იმ უცხოელმა ვერ გაიგო რა უნდა. მანქანის დაყენებისთვის ფულს სთხოვდა. ეს ე.წ „სტაიანშიკები“ მთელი დღე აგროვებენ თანხას და კაცმა არ იცის სად მიდის ეს თანხა. გასაგებია ჯიბეში მიდის. ეს სულ მცირე კანონდარღვევაა -ერთი თემაა, აშკარა კანონდარღვევაა. მეორე-უხერხული მდგომარეობაა ქალაქში და მესამე -უბრალოდ აქ ჩამოსული ადამიანისთვის იმის დადასტურებაა, რომ ზუგდიდში არც მერია არ მუშაობს, არც საკრებულო. არ არის ეს თითოეული ჩვენგანისთვის, მიუხედავად პარტიულობისა, უხერხული მდგომარეობა? ე.წ. „სტაიანშიკები“ ქალაქში რომ დგანან სირცხვილია უბრალოდ.“

აზრი გამოთქვეს: ოთარ ქადარიამ აღნიშნა: „იმუშავეთ, ვინმემ შეგბოჭათ. თქვენ ხართ თანამდებობებზე და იმუშავეთ ამ საკითხზე.“

აზრი გამოთქვეს: ლაშა ბეჭვაიამ განაცხადა: „ერთად უნდა ვიმუშავოთ, რას ქვია იმუშავეთ?.“

აზრი გამოთქვეს: მაია კალანდიამ აღნიშნა: „რამე საჩხუბარი ვთქვი? არ ვიმუშაოთ მეთქი ვთქვი?“

აზრი გამოთქვეს: ოთარ ქადარიამ განაცხადა: „თქვენ თვითონ აღნიშნეთ, რომ საკრებულო არ მუშაობსო და თანამდებობებზე თქვენ ხართ და იმუშავეთ.“

აზრი გამოთქვეს: კახაბერ ჩანგელიამ განაცხადა: „ჩვენ თუ ვიმუშავეთ, მაშინ შესაბამისი სამსახური რაში გვინდა.“

აზრი გამოთქვეს: მაია კალანდიამ აღნიშნა: „ჩემი მოვალეობაა საკითხი დავსვა. ეხლა მე ვერ მივალ და იმ პიროვნებას ფოტოს ვერ გადაუღებ, შმმ პირი დგას ჩვენი შენობის უკან. უბრალოდ უხერხული სიტუაციაა და ბატონო ოთარ ეს არის ერთად მოსაგვარებელი პრობლემა.“

აზრი გამოთქვეს: ოთარ ქადარიამ განაცხადა: „თუ უხერხულობა გექმნებათ შშმ პირი რომ დგას, მაშინ რომელ ერთ დავავალოთ მე ვერ მივალ შენ მიდი.“

აზრი გამოთქვეს: მაია კალანდიამ განაცხადა: „ეს არ უნდა დავიყვანოთ იმ ერთ ადამიანამდე. უნდა მოგვარდეს ეს პრობლემა.“

აზრი გამოთქვეს: ოთარ ქადარიამ აღნიშნა: „თქვენსავით მეც მჯერა, რომ ეს თანხები მიდის ვიღაცის ჯიბეში. რომლის სახელი და გვარიც კი არ ვიცით, ამიტომ არ ვიძახი ასე ხმამაღლა. უბრალოდ ჩვენ რაც გვეუხერხულება ის სხვას, როგორ უნდა დავავალოთ.“

აზრი გამოთქვეს: მაია კალანდიამ განაცხადა: „ბატონო ოთარ, პერსონიფიცირებაზე არ ვილაპარაკებ, არ არის სავალდებულო. უბრალოდ პრობლემას ვეხები და შესაბამისი სამსახურის წარმომადგენლებთან ვსვამ კითხვას. პარკირების სისტემა არის მოსაგვარებელი, აქ არ მაქვს ლაპარაკი ვინ დგას და ვინ არ დგას. ადგილობრივი თვითმმართველობა ამ მიმართულებით არის ჩავარდნილი, ორივე აღმასრულებელიც და საკანონმდებლოც. მე იმას კი არ ვამბობ ვიჩხუბოთ, ვიდაოთ, არამედ ერთად მოვაგვაროთ, ერთად ვითხოვოთ და მოვთხოვოთ აღნიშნულ პრობლემის მოგვარება, მომავალი წლიდან დავსახოთ თუნდაც მინიმუმი გავაკეთოთ და დარწმუნებული ვარ ეს იქნება დამატებითი შემოსავალი ადგილობრივი ბიუჯეტისთვის.“

აზრი გამოთქვეს: ლაშა ბეჭვაიამ აღნიშნა: „სოფელ ახალაბასთუმანში ავტობუსი არ დადის საერთოდ რუხის მიმართულებით, სადაც ახალი გზა გაკეთდა, თითქმის ნახევარი სოფელია. ველაპარაკე მე გამგებელს, მოთხოვნაც აქვს გაგზავნილი. ქალბატონი მაიაც ბრძანდებოდა და სხვა საკრებულოს წევრებსაც გვქონდა ამ საკითხზე საუბარი. კარგი იქნება რამენაირად

მოვახერხოთ. შამგონის მხრიდან მოძრაობს ტრანსპორტი, რუხის მხრიდან ახალი გზა ტრანსპორტის მხრივ მოუწესრიგებელია, რის გამოც მოსახლეობა ძალიან შეწუხებულია.“

აზრი გამოთქვეს: მაია კალანდიამ განაცხადა: „მოსახლეობამ გამოთქვა ეს პრობლემა, თუნდაც კვირაში ორჯერ მაინც მოხდეს ტრანსპორტის მოძრაობა აღნიშნულ სოფელში.“

აზრი გამოთქვეს: განყოფილების უფროსმა განაცხადა: „ჩვენ განა არ გვინდა. აგიხსნით, 40 ავტობუსი არის ჩვენს საკუთრებაში. 40 ავტობუსიდან ყოველდღიურად ავტოპარკის გამოყენების კოეფიციენტი არის ყველაზე მაქსიმუმი 85%-დან. მიუხედავად იმისა, რომ სიმცირე გვაქვს ავტობუსების რაოდენობის, მაქსიმალურად ვცდილობთ 95%-97% ავტოპარკი იყოს გამოსული ყოველდღიურად, ანუ 40 ავტობუსიდან 37-38-39 ავტობუსი გამოდის. ხანდახან შეიძლება გაფუჭდეს, მაგრამ ხდება ამის ჩანაცვლებაც. მუნიციპალიტეტს როცა 40 ავტობუსი ყავს არანაკლებ 10% უნდა იყოს სათადარიგო ავტობუსი.“

აზრი გამოთქვეს: თაზო ფაცაციამ განაცხადა: ბატონო დავით, ხალხი რომ ჩივის ტრანსპორტი არ არისო, ინფრასტრუქტურულად გზა მოწესრიგებული ყოფილა და არ შეიძლება ე.წ. „მარშუტკის“ მძღოლებს ვთხოვოთ და მოემსახურონ მოსახლეობას.“

აზრი გამოთქვეს: განყოფილების უფროსმა განაცხადა: „ჩვენ 2024 წელს ველოდებით 2 ავტობუსს, როცა იქნება დამატება ავტობუსების, ჩვენ დავპირდით სოფლის გამგებელსაც და აუცილებლად გავითვალისწინებთ. ყველაფერს გავაკეთებთ იმისთვის, რომ მოსახლეობამ მიიღოს მუნიციპალური ტრანსპორტის მომსახურეობა. ახლა, რაც შეეხება, თქვენს კითხვას პარკირებასთან დაკავშირებით მოგახენებთ, რომ ჩვენ „ფრაქცია ზუგდიდის საქართველოსთვის“ სხდომაზეც გვქონდა განხილვა და ბატონმა გიგამაც დასვა იგივე კითხვა. აბსოლიტურტად მართალი ხართ და გეთანხმებით მართლაც თვითნებურად დგანან ე.წ „სტაიანშიკები“. ესენი იქ არავის დაუნიშნავს და არც არავის უთქვამს იქ დამდგარიყვნენ. ჩვენ სამართლებრივად არ გვაქვს უფლება მოვთხოვოთ პასუხი თუ რატომ დგანან. აღნიშნულ საკითზე მივწერეთ საფინანსო პოლიიცის სამსახურს. საფინანსო პოლიციამ მოგვწერა, რომ ეს ჩვენი საქმე არ არისო, მაგრამ როდესაც ეს თემა მოწესრიგდება, ანუ საბარათე სისტემა იქნება საპარკინგე სისტემაში, ე.წ „სატაიანშიკები“ ავტომატურად ამოვარდებიან.“

აზრი გამოთქვეს: მაია კალანდიამ აღნიშნა: „საპარკინგე სისტემის მოწესრიგებასთან დაკავშირებით რას ვაკეთებთ, რას ვგეგმავთ?“

აზრი გამოთქვეს: განყოფილების უფროსმა განაცხადა: „ეს ცოტა სპეციფიკური თემა იყო. ჩვენ 2024 წლისთვის ვაპირებთ საპარკინგე სისტემის სრულად მოწესრიგებას.“

აზრი გამოთქვეს: გიორგი სორდია აღნიშნა: „საპარკინგე სისტემის სრული მოწესრიგების შემდეგ შემოსავალი დაახლოებით რამდენი უნდა იყოს?“

აზრი გამოთქვეს: ოთარ ქადარიამ განაცხადა: „პირველ რიგში გადაწყვეტილება არის მისაღები ორ არჩევანს შორის, გაგვაქვს აუქციონზე თუ ვაპირებით ჩვენ თვითონ მივხედოთ ამის ოპერირებას. აი ამ გადაწყვეტილების შემდეგ ავტომატურად დაიძვრება საკითხი და ბოლო-ბოლო უნდა მოხდეს ამ საკითხის საბოლოო მოგვარება.“

აზრი გამოთქვეს: კახაბერ ჩანგელიამ განაცხადა: „როგორც ბატონმა ოთარმა თქვა, ორი ვარიანტიდან ავირჩიოთ ერთ-ერთი და მივხედოთ ამ საკითხს საბოლოოდ.

აზრი გამოთქვეს: განყოფილების უფროსმა განაცხადა: „გეთანხმებით, პარკირების თემა საბოლოოდ მოსაგვარებელია. ამაზე ვმუშაობთ და 2024 წლისთვის დიდი ალბათობით პარკირების საკითხი მოგვარდება.“

აზრი გამოთქვეს: მაია კალანდიამ აღნიშნა: „ჩვენ ამ საკითხს ისევ ინიციატივაზე დავსვამთ, ისევ მოგიწევთ მოსვლა და ახსნა. მაგრამ ჩვენ ეს არ გვინდა გახდეს სახმაურო თემა, ფრაქცია ამას ვაკეთებთ და რამე, არამედ ეს უნდა გავაკეთოდ ერთად. ყველაზე უხერხული სიტუაციაა ქალაქში პარკირების კუთხით. სადაც არ უნდა წახვიდე პარკირების სისტემა ყველა ქალაქში მოწესრიგებულია. დიდ ქალაქებს შორის რიგით მესამე ქალაქში ეს უხერხული მდგომარეობაა.“

აზრი გამოთქვეს: განყოფილების უფროსმა განაცხადა: „პარკირების წესიდან გამომდინარე ჩვენ გვაქვს საბარათე სისტემა შემუშავებული და ე.წ „სტაიანშიკები“ არ იქნებიან. ამ ჯერზე მხოლოდ თვითნებურად დგანან და ვერ ავკრძალავთ.“

აზრი გამოთქვეს: მაია კალანდიამ განაცხადა: „არ მინდა სიტუაციის გამწვავება, მაგრამ ყველამ ვიცით, რომ იქ მდგომს ყველას ყავს თავისი პატრონი.“

აზრი გამოთქვეს: გიორგი სორდიამ აღნიშნა: „გადავიდეთ შემდეგ საკითხზე და მოუსმინოთ „ზუგდიდდასუფთავების“ სამსახურის უფროსს.“

აზრი გამოთქვეს: ნუგზარ მალაშხიამ განაცხადა: „პირველ რიგში მინდა ვთქვა, თუ რა მიზნები და პროგრამა გვაქვს დასახული. თუ მიზანი არ გაქვს ვერანაირ შედეგს ვერ მიაღწევ. „ზუგდიდდასუფთავების“ ცენტრს შემუშავებული აქვს 2024-2027 წლების პროგრამული ბიუჯეტი, რომელიც საკრებულოს მიერ არის დამტკიცებული. მე არ შეუდგები ციფრებით თუ რა ბიუჯეტი არის ჩვენთვის გამოყოფილი, მაგრამ მინდა გითხრათ, რომ ყველაფერი იზომება შედეგების მიხედვით. შედეგების მიხედვით თუ ვიმსჯელებთ 7-8 წლის განმავლობაში „ზუგდიდდასუფთავების“ სამსახური საქართველოში ერთ-ერთი პირველი სამსახურია, რომელსაც სწორედ ამ ბიუჯეტის ფარგლებში აქვს ის მიღწევები რაც აქვს, მაგრამ უკეთესი ყოველთვის შეიძლება. ჩვენს სამსახურს დაწყებული აქვს საქმიანობა, რომელიც ქვეყანაში არცერთ მუნიციპალიტეტს არ აქვს. ეს არის ნარჩენების მართვის სისტემის მოწყობა. ჩვენი მუნიციპალიტეტი ნარჩენების მართვის კუთხით აკეთებს ყველაფერს, რომ ქალაქად და სოფლად მცხოვრები მოსახლეობა ერთნაირად იყოს კმაყოფილი ჩვენი მომსახურეობით. ქალაქად და სოფლად მოსახლეობის 95% მთლიანად მოცული არის ამ მომსახურეობით. ჩვენი სამსახური ქალაქად და სოფლად ემსახურება მოსახლეობის 90%, ქალაქის 431(ოთხასოცდათერთმეტი) ქუჩას, 1200 (ათასორასი) იურიდიულ და პიზიკურ პირს და 48 (ორმოცდარვა) ტერიტორიულ ერთეულს.

დღეს ჩვენ აქ ბიუჯეტის განხილვაზე ვართ და ბიუჯეტზე ვისაუბრებ. თვითონ ბიუჯეტი ცოცხალი ორგანიზმია. ჩვენ პირველ რიგში გამოვდივართ იქიდან, რომ მიმდინარე და გასულ წელს საწვავის ღირებულება გაძვირდა, რაზეც ჩვენ ძალიან ვართ დამოკიდებული, იმიტომ რომ ჩვენ ორმოცი ერთეული ტრანსპორტი და სამოცი ერთეული სანტრანსპორტო საშუალება გვყავს. აქედან გამომდინარე, პერიოდულად იქნება ბიუჯეტში ცვლილება შესატანი. მაგალითად, 2023 წელს 5,700,000 (ხუთიმილიონშვიდასიათასილარი) ლარი იყო ჩვენი ბიუჯეტი. აქედან, 124 000 (ასოცდაოთხიათასილარი) ლარი წინა წლის დავალიანება გადმოგვყვა. ყოველწლიურად ასე ხდება, როდესაც წელიწადი მთავრდება დეკემბრის თვის გადასახადი, საწვავი და ა.შ გადადის მომდევნო თვეს. ამასაც აქვს თავისი დადებითი მხარე, კიდევ კარგი, რომ გადადის მომდევნო წელზე თორემ მოგვიწევდა მანქანების გაჩერება. გარდა ამისა, მთავრობას შემუშავებული აქვს 2016-2030 წლის განვითარების სტრატეგიული გეგმა. აქედან გამომდინარე, 2023 წლის ჩვენ გვიწერია 5,700,000 (ხუთიმილიონშვიდასიათასილარი) ლარი, 2024 წელს 7 000 000(შვიდიმილიონილარი) ლარი, 2025 წელს 7 500 000(შვიდიმილიონხუთასიათასულარი) ლარი, 2026 წელს 8 200 000(რვამილიონორასიათასილარი) ლარი, 2027 წელს 8 900 000(რვამილიონცხრასიათსილარი) ლარი. ეს დასაბუთებულია იმის მიხედვით, ზუგდიდის ტერიტორიაზე გვაქვს 3 500 (სამიათასხუთასი) ცალი ურნა, მაგრამ მეორე იმდენის საჭიროება დგას, რომ საბოლოოდ 2027 წელში რა სამუშაოებიც არის დაგეგმილი და გაწერილი ის რომ შევასრულოთ. ჩვენი მომსახურეობით მოსახლეობისგან ბიუჯეტში ყოველწლიურად შემოდის 500 000(ხუთასიათასილარი)-600 000(ექვსასიათასილარი) ლარი. ქალაქის მოსახლეობის 60% პროცენტი იხდის დასუფთავების გადასახადს. სოფლად გვაქვს ცუდი მდგომარეობა, დაახლოებით სოფლის მოსახლეობის 10% მეტი არ იხდის. ყველაზე მთავარი ამოცანა, რაც ჩვენ გვაქვს და გავაკეთეთ საქართველოში პირველად ყველას მოსწონს და ამ მიმართულებით კიდევ უფრო წინ გადავდგამთ ნაბიჯებს, ეს არის მუყაოს სეპარირება. წელს უკვე ჩავაბარეთ 85 ტონა მუყაო და შემოსავალიც მივიღეთ. თავიდან 18

თეთრი იყო კილოგრამი მუყაო, ახლა 24-27 თეთრამდე გაიზარდა. ასევე გვაქვს პროგრამა მ/წლის ბოლოს და მომავალი წლის პირველ კვარტალში დავიწყოთ პლასტმასის ნაკეთობების სეპარირება და ჩვენს ბიუჯეტს 2024 წლიდან დაწყებული 2027 წლის ჩათვლით 1 200 000(მილიონორასიათასილარი) ლარი უნდა მივიღოთ ამონაგები."

აზრი გამოთქვეს: მაია კალანდიამ აღნიშნა: „ბატონო ნუგზარ, სხვა ქვეყნებში თუ არის პლასტმასის სეპარირება."

აზრი გამოთქვეს: ნუგზარ მალაშხიამ განაცხადა: „საფრანგეთის მაგალითზე შემიძლია გითხრათ, რომ იქ არის სპეციალური ყუთები, სადაც პლასტმასის ბოთლს ჩაყრი და აქეთ ფულს გაძლევს. სხვა ქვეყნებში კიდევ სხვანაირად ხდება. საზღვარგარეთ უფრო კერძო მიმართულებით ხდება სეპარირება, იქ ადგილობრივი თვითმმართველობა არ არეგურილებს ამ საკითხს. წელს 5 700 000(ხუთიმილიონშვიდასიათასილარი) ლარი იყო გამოყოფილი ააიპისთვის, წელს ჩვენ ნამდვილად ვერ ჩავეტევით ამ თანხაში და დამატება დაგვჭირდება. მომავალი წლისთვის ჩვენ მინიმალურად გვქონდა წარმოდგენილი 6 800 000(ექვსიმილიონრვაასიათასილარი) ლარი, მინიმალურად რომ შეგვესრულებინა ეს ყველაფერი. თუმცა გამოგვიყვეს 6 300 000(ექვსიმილიონსამასიათასილარი) ლარი. უკვე წელიწად ნახევარია რაც 18 ერთეული ახალი ტექნიკა შემოგვივიდა."

აზრი გამოთქვეს: გიორგი სორდიამ აღნიშნა: „ბატონო ნუგზარ, შესაბამისად შტატებიც დაგემატებათ."

აზრი გამოთქვეს: ნუგზარ მალაშხიამ განაცხადა: „ჩვენ სოციალური პროგრამის კუთხითაც არაერთი ადამიანი დავასაქმეთ. 519 ადამიანი გვყავს ახლა. მარტო ამ 16 მანქანაზე 32 მძღოლი, ორ-ორი მტვირთავი მინიმუმ, ჯამში 64 კაცი უნდა დაგვმატებოდა. შევამცირეთ ეს შტატები-ზოგი წავიდა სამსახურიდან, მაგრამ ახალი არ აგვიყვანია და ფაქტიურად 498 კაცი გვყავდა შტატგარეშე და 519-ის ზევით არ ავსულვართ. ისინი ვინც ავიყვანეთ ახლები ახალი წლიდან უნდა გადმოვიყვანოთ საშტატო განრიგში და სულ სამი კაცი გვეყოლება შტატგარეშე, დანარჩენი ყველა შტატზე იქნება აყვანილი. ჩვენ ეს განვიხილეთ მერიის საფინანსო სამსახურთან ერთად."

აზრი გამოთქვეს: გიორგი სორდიამ აღნიშნა: „ბატონო ნუგზარ, დაახლოებით რამდენს ელოდებით შემოსავალს?"

აზრი გამოთქვეს: ნუგზარ მალაშხიამ განაცხადა: „ყოველთვიურად დაახლოებით 16-20 ათასი ლარი შემოდის ახლა. ჩვენ მომავალი წლის პირველ კვარტალში გვინდა გავზარდოთ პლასტმასის სეპარირება. ერთი კილოგრამი უკვე ერთი ლარი ღირს. ეს მართლა სერიოზული შემოსავალი იქნება. ჩვენთვის მაინც მთავარი არის ის, რომ ქალაქად და სოფლადაც ჩვენი მოსახურეობით მოსახლეობა კმაყოფილი იყოს."

აზრი გამოთქვეს: თამუნა ჯიქიამ აღნიშნა: „ბატონო ნუგზარ, დარჩელის მუნიციპალიტეტის მოსახლეობა ითხოვს დასუფთავების გადასახადის ელექტროენერგიის გადასახადთან მიბმას. ვიცი ეს თქვენი საქმე არ არის, მაგრამ კარგი იქნება რამე რომ მოვიფიქროთ."

აზრი გამოთქვეს: ნუგზარ მალაშხიამ განაცხადა: „ამასთან დაკავშირებით მინდა გითხრათ, რომ საფინანსო სამსახურმა იცის, ფინანსთა სამინისტრო ამზადებს დოკუმენტს, რომლის მიხედვითაც მთლიანად შეიცვლება გადახდის ეს სისტემა. თბილისმა ელ. ენერგიის გადასახადს რომ მიაბა დასუფთავების გადასახადი, ამაზე მოსახლეობამ საჩივარი შეიტანა. ეს უკვე ადამიანის უფლებების დარღვევად ჩათვალეს. ელ. ენერგიას დასუფთავების გადასახადის გამო რომ უთიშავენ, მორალურად ეს არ არის გამართლებული. აქ უბრალოდ ადამიანების თვითშეგნება უნდა ამაღლდეს."

აზრი გამოთქვეს: ლაშა ბეჭვაიამ აღნიშნა: „ბატონო ნუგზარ, ერთი რაღაცა მინდა გითხრათ, ცუდიდან დავიწყებ და ბოლოს უფრო მეტ კარგს ვიტყვი. აკუმლატორის შემკეთებელი რომ გეწერათ საშტატოში ახლაც გყავთ?"

აზრი გამოთქვეს: ნუგზარ მალაშხიამ განაცხადა: „დიახ, აკუმლატორის შემკეთებელი გვყავს."

აზრი გამოთქვეს: ლაშა ბეჭვაიამ აღნიშნა: „ცუდია რომ გყავთ, რადგან ეს მანქანები სერვისცენტრებში დადიან და შესაბამიას არ გჭირდებათ. მე მადლობა მინდა გითხრათ პირადად. სოფელ შამგონაში ენგურის პირას, სადაც პლაჟი გვაქვს, სანაგვე ურნები იმ ტერიტორიაზე აუცილებლად გვჭირდებოდა და თქვენი სამსახურის მეშვეობით ერთ დღეში მოგვარდა და მადლობა თქვენ ამისთვის. მაგრამ ეს ურნები ზამთრის პერიოდში იქ არ გვჭირდება და კარგი იქნება ცოტა მოსახლეობასთან ახლოს გადმოვიტანოთ.“

აზრი გამოთქვეს: ნუგზარ მალაშხიამ განაცხადა: „ზუსტად არ მახსოვს, მაგრამ მგონი გადმოტანილია, ასევე ჩვენ ანაკლიაში, ბანაკში გვაქვს ძალიან ბევრი ურნები. იმათ აქეთ გადმოვიტანთ, რადგან ზამთრის პერიოდში ბანაკი არ ფუნქციონირებს. კიდევ ერთხელ მინდა ვთქვა, რომ თქვენი მხარდაჭერით, საკრებულო იქნება თუ სხვა სამსახურები ყველამ ერთად ერთმანეთი არ უნდა შევარცხვინოთ და წარმატებები გვქონდეს მომავალში.“

აზრი გამოთქვეს: გიორგი სორდიამ აღნიშნა: „ბატონო შალვა, გთხოვთ მოკლედ მოგვახსენოთ ბოტანიკურ ბაღთან დაკავშირებით.“

აზრი გამოთქვეს: მაია კალანდიამ განაცხადა: „რა უნდა გვითხრას. პრობლემები აქვს ხეებს, დაავადებულია. ერთი გადატყდა და მასზე უარეს მდგომარეობაშია დანარჩენი ხეებიც. მე, როგორც რიგით ადამიანს გული შემტკივა.“

აზრი გამოთქვეს: შალვა აგუმავამ განაცხადა: „ვიცით არის პრობლემები, რომლებიც წლების განმავლობაში დაგროვდა და წლები სჭირდება ნიადაგი რომ მოვიდეს შესაბამისობაში. მექანიკურად ჩვენ ამას ვერაფერს ვერ ვუშვებით. უბრალოდ პირველი ამოცანა იყო ბოტანიკური ბაღი უნდა ყოფილიყო უსაფრთხო, ამ მხრივ ნამდვილად არ ვიშურებთ ძალისხმევას, დღესაც მიმდინარეობას ამაზე მუშაობა და მომავალშიც კიდევ გაგრძელდება. იმიტომ რომ, ვინც არ უნდა შევიდეს ყველასთვის მთავარი არის უსაფრთხოება. რაც შეეხება 2024 წლის ბიუჯეტს, ამ ეტაპზე 1 050 000(მილიონორმოცდაათასილარი) ლარი იქნება ბოტანიკური ბაღის ბიუჯეტი. მოთხოვნა იყო 1 100 000(მილიონასიათასილარი) ლარზე და გვპირდებიან რომ დააკმაყოფილებენ. იმიტომ რომ, როგორც იცით 2024 წლის მაისის თვეში დაგეგმილი არის დიდი ფორუმი, სადაც 32 ევროპული ქვეყნის 47 ბაღს უმასპლინძებს ზუგდიდი. ეს თანხა არ არის ამ ბიუჯეტში გათვალისწინებული. გვპირდებიან, რომ ამას ჩასვამენ და გაითვალისწინებენ. ეს იქნება ორ დღიანი კონფერენცია/ ფორუმი, დეტალები დასაგეგმია და განსახილველია.“

აზრი გამოთქვეს: მაია კალანდიამ განაცხადა: „რას ითვალისწინებს ბატონო შალვა ეს კონფერენცია/ფორუმი?“

აზრი გამოთქვეს: შალვა აგუმავამ განაცხადა: „პირველი დღე იქნება კონფერენცია. თემატიკა იქნება მავნებელი დაავადებები ზოგადად, მეორე თემა მიმართული იქნება კულტურული და ისტორიული მიმართულებით. მესამე დღე იქნება უკვე ევროპული ბაღების ასოციაციის, თვითონ ჩვენი შიდა სხდომა, მიმდინარე საკითხების და მომავალი ბიუჯეტის საკითხების დაგეგმვა, შესრულების შემდეგი საკითხებიც. ამასთან ერთად ამხელა ფორუმი ზუგდიდში პირველად ტარდება და ღირსეულად უნდა დავხვდეთ. ტრანსპორტირება და დაბინავების ხარჯებს ის მხარე იხდის, აქ არის ჩვენი სტუმართმოყვარეობის და მასპინძლობის საკითხი.

წელს დავასრულეთ საველე სამუშაოები ინვენტარიზაციისა და წლის ბოლომდე მოხდება ამ მონაცემების დამუშავება და გაციფრულება, შემდეგ ზაფხულიდან უნდა ვიფიქროთ განვითარების გეგმაზე და ეს არ არის მარტო ბოტანიკური ბაღის ადმინისტრაციის გადასაწყვეტი. ამ პროცესში უნდა ჩაერთოს კონკრეტული სპეციალისტები, ასევე მოქალაქეები და ყველა დაინტერესებული პირი. ეს არ იქნება ერთი ან ორდღიანი ფორუმი, სავარაუდოდ მინიმუმ წელიწადი ან წელიწადნახევარი დაგვჭირდება რომ ზუგდიდის ბოტანიკური ბაღის განვითარების გეგმა დავდოთ და მოხდეს ბაღის განვითარება.“

აზრი გამოთქვეს: გიორგი სორდიამ აღნიშნა: „მუნიციპალიტეტის ქონებებთან დაკავშირებით მაინტერესებს ინფორმაცია. შემოსავალი რამდენი იქნება, ასევე თუ არის რამე სიახლე იმ

ქონებებთან დაკავშირებით, რომლებიც არის ეკონომიკის სამინისტროს ბალანსზე და მერია დიდი ხანია ითხოვს მათ გადმოცემას მუნიციპალიტეტისთვის.“

აზრი გამოთქვეს: ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკური პოლიტიკის და მუნიციპალური სერვისების მართვის სამსახურის უფროსის მოადგილემ **განაცხადა:** „ქონებების გადმოცემასთან დაკავშირებით მოგახსენებთ, რომ ამას გარკვეული პროცედურები სჭირდება, ასევე სხვა შესაბამისი სამინისტროების თანხმობა, მაგალითად ისეთი შენობა, რომელიც არის გზის პირას ამას საავტომობილო გზების დეპარტამენტის თანხმობა სჭირდება. უშუალოდ ქონების ეროვნული სააგენტო ჩვენ მიერ დაყენებულ მოთხოვნას, ეს იქნება ძირითადი ქონების სახით, განუსხვისებელი ქონების სახით ან დამატებითი ქონების სახით, ეს ჯერ განიხილავს შიდა პროცედურებით, შემდეგ გადაეგზავნება ეკონომიკის სამინისტროს, ეკონომიკის სამინისტრო აგზავნის ამ ინფორმაციებს სახელმწიფო ელექტროსისტემაში, გარემოს დაცვის სააგენტოში წიაღის დამაგრებას ექვემდებარება თუ არა, იგზავნება ასევე ენერგო-პრი ჯორჯიაში არის თუ არა დაგეგმილი რაიმე ტიპის მაღალი ძაბვის ან სხვა ღონისძიებების განხორციელება, იქ სავარაუდოდ არის მომდევნო 10 წლის გეგმებზე საუბარი. ამ სამსახურებიდან თანხმობის შემდეგ ქონების ეროვნული სააგენტო იღებს დადებით ან უარყოფით გადაწყვეტილებას. ამ პროცედურებს ჩვენ ვერ დავაჩქარებთ და მოლოდინის რეჟიმში ვართ. კომუნიკაცია გვაქვს როგორც სიტყვიერი, ასევე წერილობითი და ველოდებით.“

აზრი გამოთქვეს: გიორგი სორდიამ აღნიშნა: „არის ისეთი შენობები, რომლებიც ძალიან ამორტიზებულია, რა ხდება ამ მიმართულებით.“

აზრი გამოთქვეს: ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკური პოლიტიკის და მუნიციპალური სერვისების მართვის სამსახურის უფროსის მოადგილემ **განაცხადა:** „რამდენიმე შენობა იყო ამორტიზებული, გაკეთებული გვაქვს მიმართვა, პროცედურულად ასე ხდება, როდესაც სახელმწიფოს ბალანსზე არის მიწის ნაკვეთი და მასზე განთავსებული შენობა-ნაგებობა, ჩვენი მხრიდან ხდება საკითხის დაყენება შესწავლასთან დაკავშირებით, რამდენად შეესაბამება მდგრადობას. სახელმწიფო ქონების ეროვნულ სააგენტოს აქვს მიდგომა საკითხის შემდგომი შესწავლის მიზნით აყენებს ასეთ პოზიციას-სარგებლობაში უნდა გადმოგვცეს ეს მიწის ნაკვეთები და მასზე განთავსებული შენობა-ნაგებობები, ჩვენ შემდეგში ვაყენებთ საკითხს მერიის სამსახურთან მომზადდეს შესაბამისი საექსპერტო დასკვნა, ინფრასტრუქტურის სამსახურში ვაგზავნით მომართვას, შესაბამისად ეს სამსახური თავის მხრივ აგზავნის მომართვას სამხარაულის ექსპერტიზის ეროვნულ ბიუროში, შემდეგ ექსპერტიზის ბიუროს დასკვნის საფუძველზე ხდება გადაწყვეტილების მიღება. თუ შენობა არის მდგარდი მაშინ ხელს ვერ ვკიდებთ, მაგრამ თუ არის არამდგარი შემდგე ისევ თანხმობაზე ვაგზავნით დოკუმენტაციას ქონების ეროვნულ სააგენტოსთან დემონტაჟთან დაკავშირებით და შემდეგ დემონტაჟის საკითხი შემოგვაქვს საკრებულოში საპრივატიზაციო ნუსხასა და გეგმაში ცვლილების შეტანის მიზნით. ეს არის გაწერილი პროცედურა.“

აზრი გამოთქვეს: გიორგი სორდიამ აღნიშნა: „გასაყიდ ქონებებთან დაკავშირებით რა შეგიძლიათ გვითხრათ, არის რამე სიახლე?“

აზრი გამოთქვეს: ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკური პოლიტიკის და მუნიციპალური სერვისების მართვის სამსახურის უფროსის მოადგილემ **განაცხადა:** „ამასთან დაკავშირებით მოგახსენებთ, რომ სასტუმრო „ოდიშის“ ბევრჯერ იქნა გატანილი აუქციონზე, ვფიქრობთ რომ ჩავხსნათ 2 000 000(ორიმილიონილრი) ლარის საინვესტიციო ვალდებულება და დავტოვოთ ის ვალდებულება როგორიც ქონდა კულტურის სახლს გაყიდვისას, ის ზოგადი ვალდებულება, რომელიც კანონმდებლობით დასაშვებია ობიექტის აშენებისას. ამან შეიძლება გაამართლოს, რადგან ფინანსური ვალდებულების ჩახსნის გამოცდილება გვაქვს.“

აზრი გამოთქვეს: გიორგი სორდიამ აღნიშნა: „კეთილმოწყობის სამსახურის ბიუჯეტი რამდენით იზრდება და რა მიმართულებით.“

აზრი გამოთქვეს: განყოფილების უფროსმა განაცხადა: „2023 წლის ბიუჯეტი დაზუსტებულია 4 778 000(ოთხიმილიონშვიდასსამოცდათვრამეტიათასილარი) ლარი. მომავალი წლის ბიუჯეტი საფინანსოსთან შეთანხმებით პროექტი გვაქვს 4 900 000(ოთხიმილიონცხრაასიათასილარი) ლარზე. წარმოდგენილი გვქონდა 300 000(სამასიათასილარი) ლარით მეტი, მაგრამ ამოღებული იქნა ტრანსპორტის შეძენის ხარჯი. მერია შეგვპირდა, რომ თვითონ შეიძენდნენ და ამ ტრანსპორტს ხარჯს გაითვალისწინებენ მომავალი წლის პროექტში.“

კომისიის თავმჯდომარემ მიმართა კომისიის წევრებს ხომ არ აქვთ სხვა წინადადებები ან შენიშვნები პირველ საკითხთან დაკავშირებით.

კომისიის წევრების მიერ დამატებით განსხვავებული წინადადებები და შენიშვნები არ გამოთქმულა.

გადაწყვიტეს: „ზუგდიდის მუნიციპალიტეტის 2024 წლის ბიუჯეტის“ პროექტზე მომზადდეს კომისიის წინადადებები და რეკომენდაციები, რომლებიც გადაეგზავნება ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერიას მისი შესაძლებლობის ფარგლებში გათვალისწინების მიზნით.

სხვადასხვა საკითხებთან დაკავშირებით წინადადებები არ გამოთქმულა.

დღის წესრიგით გათვალისწინებული ყველა საკითხი ამოიწურა და სხდომა გამოცხადდა დახურულად.

ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ეკონომიკის, ურბანული განვითარებისა
და ქონების მართვის საკითხთა კომისიის თავმჯდომარე

გიორგი სორდია

ხელმოწერილია